

საგადახდო დავალება N20  
"09" აგვისტო 2013 წელი

რეფერენსი  
2100379353

გადამხდელის დასახელება: შპს კარაბანი

ანგარიში (დებიტი) GE68BG000000304653500  
(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:  
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი

BAGAGE22

გადასახდის გადამხდელის დასახელება: შპს კარაბანი

საიდენტიფიკაციო კოდი 404931286

მიმღების დასახელება: სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი GE52BR0000010591718543  
(კრედიტი)

ბანკის კოდი

REPLGE22

მიმღების ბანკი:  
სს "ბანკი რესპუბლიკა"

გადახდის დანიშნულება: კონ.მონ.უნ.877,სსიპ "საქ-ოს კულტ. მემკვ. დაცვ.ეროვ.სააგ."-ს მიერ (დიდი ჯიხ.სამტ.მუნ.6.ნი.კოლაძის სახლ-მუზ.კომპ.რეაბ.) საპრ-სახარ.დოკ. შედგ.მომს.შეს. ს/კ 204562311, (კარაბანი,404931286)

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

თანხა

50-00

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 09.08.13

გატარებულია ბანკის მიერ: 09.08.13

ხელმოწერა

შტამპის ადგილი





სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #T31398-13

თბილისი

12 აგვისტო 2013 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „გარანტი“)

გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869

გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო

პრინციპალი: შპს კარაბანი (შემდგომში „პრინციპალი“)

პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 404931286

პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ს.დიდომი

ბენეფიციარი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი“)

ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 204562311

საგარანტიო თანხა: 500 (ხუთასი) ლარი

ვითვალისწინებთ რა, რომ პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება ბენეფიციარის სატენდერო კომისიის მიერ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის (დიდი ჯიხაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი) კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის მიზნით გამოცხადებულ (#877) ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

სს „საქართველოს ბანკი“ ვიღებთ გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მისევედითაც დროულად და სრულად უზრუნველყოფთ ბენეფიციარისათვის ჯამურად 500 (ხუთასი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ სატენდერო წინადადების გახსნის შემდეგ პრინციპალმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრინციპალი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ბენეფიციართან სასელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრინციპალი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 11 ოქტომბერი 2013 წელი. შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, ბენეფიციარის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებულ იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევების დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის გასულამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი“ (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროითა (UTC GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

წერილობითი ფორმით წამოყენებულ ბენეფიციარის მოთხოვნას საბანკო გარანტიაზე თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ანა ქავთარაძე  
ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის დირექტორი



აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

\* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

\* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

\* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

\* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

\* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს.
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

\* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.



გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.



ტექნიკური დავალების დანართი

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და ასახელება: შპს. „კარაბანი“

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: ლევან კეკელიძე

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: თბილისი, სოფ. დიღომი

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: თბილისი, სოფ. დიღომი

საიდენტიფიკაციო კოდი: 404931286

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: 593 24 09 73

ელექტრონული მისამართი: spskarabani@yahoo.com

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE68BG000000304653500

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 49995 (ორმოცდაცხრაათასცხრაასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი


3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 2013 წლის 11 სექტემბერი ჩათვლით

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: 0 %

ხელმძღვანელის ხელმოწერა



ნიკო ნიკოლაძის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია-სამომავლო  
განვითარების კონსეფცია



## ჩ ა მ ო ნ ა თ ვ ა ლ ი

ფურცლის დასახელება :	ფურცლის ნომერი:	ფურცლის დასახელება :	ფურცლის ნომერი:
საქ.სახელმწიფო ტერიტორიული რუკა	--- 01	ყოფილი სამეურნეო შენობა სამხ. ფასადი F13	--- 21
აეროფოტო	--- 02	ყოფილი სამეურნეო შენობა ტერასა	--- 22
სიტუაციური გეგმა	--- 03	ყოფილი სამეურნეო შენობა საგამოფენო ოთახი	--- 23
კიშკარი ფოტო F1	--- 04	ყოფილი სამეურნეო შენობა ადმინისტრაცია	--- 24
კიშკარი ფოტო F 2	--- 05	ყოფილი სამეურნეო შენობა ადმინისტრაცია	--- 25
კიშკარი ფოტო დაზიანებები	--- 06	ქარის ძრავი დას. ფასადი F14	--- 26
სახლ-მუზეუმი დას. ფასადი F3	--- 07	თავლა სამხ. ფასადი F15	--- 27
სახლ-მუზეუმი სამხ.-დას. ფასადი F4	---08	თავლა სამხ.-აღმ. ფასადი F16	--- 28
სახლ-მუზეუმი სამხ. ფასადი F5	--- 09	თავლა აღმ. ფასადი F17	--- 29
სახლ-მუზეუმი სამხ.-აღმ. ფასადი F6	--- 10	თავლა ჩრდ. ფასადი F18	--- 30
სახლ-მუზეუმი აღმ. ფასადი F7	--- 11	თავლა ჩრდ.-დას. ფასადი F19	--- 31
სახლ-მუზეუმი ჩდდილ. ფასადი F8	--- 12	თავლა დას. ფასადი F20	--- 32
სახლ-მუზეუმი ჩდდილ.- დას. ფასადი F9	--- 13	თავლა სამხ.-დას. ფასადი F21	--- 33
სახლ-მუზეუმი მარანი	--- 14	თავლა ტერასა P15. P16	--- 34
სახლ-მუზეუმი მარანი	--- 15	თავლა ხედი: P17. P18. P19. P20	--- 35
სახლ-მუზეუმი დაზიანებები	--- 16	თავლა ხედი: P21. P22. P23	--- 36
სახლ-მუზეუმი დაზიანებები	--- 17	თავლა ხედი: P24. P25	--- 37
ოფილი სამეურნეო შენობა დას. ფასადი F10	--- 18	თავლა	--- 38
ყოფილი სამეურნეო შენობა ჩდდილ. ფასადი F11	--- 19	ყოფილი ავტოსადგომი	--- 39
ყოფილი სამეურნეო შენობა აღმ. ფასადი F12	--- 20	საპირფარეშო	--- 40
ეზოში არსებული კა	--- 41	თავლის გეგმა არსებული	--- 46

უზომი არსებული ნალია	--- 42
სიტუაციური გეგმა საპროექტო წინადადება	--- 43
ყოფილი სამეურნეო შენობა არსებული	--- 44
ყოფილი სამეურნეო შენობა არსებული	--- 45

თავლის გეგმა საპროექტო	--- 47
სახლ-მუზეუმის სამომავლო განვითარების და განვითარების სქემა	--- 48
გარე ხანათების მაგალითები	--- 49

ხელმოწერა



რესტავრატორი: ლევან კვცენაძე

ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ( დიდი ჯიხაიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი ) კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის წინასწარი საინჟინერო-მშენებლო დასკვნები

ზოგადი მიმოხილვა

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიში მდებარეობს. სახლ-მუზეუმს ნიკო ნიკოლაძისა და მისი მეუღლის ყოფილი მამულის მცირე ტერიტორია უკავია. ამ მამულში ნიკო ნიკოლაძე 1886 წელს დაფუძნდა და მას 35 წლის განმავლობაში, 1921 წლამდე ფლობდა. 1921 წელს, საქართველოს რესპუბლიკის წითელი ოკუპაციის შემდგომ მოღვაწეს საცხოვრებელი სახლი და კარსი დამო ჩამოართვეს. ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის ძალისხმევით გასაბჭოების შემდეგ კარმდამო დანაწევრებას გადაურჩა და მისივე თაოსნობით აქ, 1926 წელს, სასაოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნა, რომელიც 1930 წელს შექმნილად გადაკეთდა ( უკანასკნელი ნიკო ნიკოლაძის სახლითა და მამულთან სახლ-მუზეუმის გახსნამდე სარგებლობდა ). ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი 1947-1951 წელს დაარსდა და მას ნიკო ნიკოლაძის საცხოვრებელი და სამეურნეო შენობება-ნაგებობები და ბაღის მცირე ნაწილი დაეთმო.

სახლ-მუზეუმის კომპლექსი რამდენიმე შენობა-ნაგებობას მოიცავს: 1. ნიკო ნიკოლაძის დროინდელი ჭიშკარი; 2. ნიკო ნიკოლაძის და მისი ოჯახის საცხოვრებელი სახლი; 3. სამეურნეო ნაგებობა; 4. თავლა. გარდა ამისა მასში შედის ურცვლი ბაღი, რომელშიც ნიკო ნიკოლაძის დროინდელი და თანამედროვე ინფრასტრუქტურის ელემენტები თავმოყრილი.

სახლ-მუზეუმის კომპლექსის შემდეგი ზოგადი მონაცემები გააჩნია:

- სახლ-მუზეუმზე დასაგრებელი ნაკვეთის ფართობი: 3,0415 ჰა.
- მუზეუმის ფართობი: 860 კვ/მ
- მუდმივი ექსპოზიცია: 360 კვ/მ
- პერიოდული გამოფენები: 30 კვ/მ
- საცაფები: 60 კვ/მ

კომპლექსში შემავალი ელემენტების ადგილზე ჩატარებული წინასწარი ანალიზი და რეკომენდაციები

1. ჭიშკარი

1.1 შექმნის ისტორია და სტორული და მხატვრულ-დეკორატიული ღირებულება.

ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა ჭიშკრის შექმნის ზუსტი თარიღის დადგენა, თუმცა სავარაუდოდ ის ნიკო ნიკოლაძის ერთსართულიანი ხის საცხოვრებელი



სახლის ქვით ნაგებ ორ სართულიან სახლად გადაკეთების პერიოდს, ანუ 1893-1910 წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამგვარად ნიკო ნიკოლაძის მამულის მთავარ ჭიშკარს ასწლოვანი ისტორიაა აქვს, რაც მას თავრისთავად / უეჭველ ისტორიულ ღირებულებას სძენს. ამ თვალსაზრისით კი დამატებით და მეტად მნიშვნელოვან აქცენტს ჭიშკარს, მის შუა სვეტზე რელიეფურად გამოყვანილი და დეკორატიულად გაფორმებული, ნიკო ნიკოლაძის მეუღლის, ოლღა ნიკოლაძის ინიციალები ანიჭებს. აღნიშნული გარემოებების გარდა ჭიშკრის ისტორიულ მნიშვნელობას ის ფაქტორიც აძლიერებს, რომ ამ ტიპის ჭიშკარი რეგიონში პირველ ნიმუშს წარმოადგენს და ამ პერიოდის საკარმიდამო სამოსხლოების საპარადო შესასვლელების კვლევის საქმეში მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება.

რაც შეეხება ჭიშკრის მხატვრულ-დეკორატიულ გაფორმებას, ის თავისებურია და, როგორც ჩანს, გარკვეულ კონცეპტუალურ ჩანაფიქრზე უნდა მიგვითითებდეს. ჭიშკრის კომპოზიცია და მისი აქცენტი, ფერადოვანი გადაწყვეტა ოსტატის მიერ ერთგვარ საეზიტო ბარათადაა წარმოდგენილი, რომელიც ვიზიტორს შემოსასვლელში რეგულარული და ორგანიზებული არქიტექტურისა და კარმიდამოს მოლოდინსა და სახლის ფერადოვანი ტონალობის შეგრძნებას უჩენს, ხოლო შემდგომ ანსამბლის სივრცითი სიღრმისა და მთლიანობის განცდას უყალიბებს.

ამგვარად ნიკო ნიკოლაძის მამულის ძველი ჭიშკარი მისი სახლ-მუზეუმის კომპლექსის მხატვრული გაფორმების განუყოფელ და ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი როგორც მხატვრულად გააზრებული და ერთიანი ანსამბლის წარმოჩენაში.

## 1.2 საფრთხეები და არსებული დაზიანებები

აღვილზე ჩატარებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჭიშკრის შენარჩუნებისთვის ძირითად საფრთხეს გარემო პირობები, კერძოდ კი მაღალი ტენიანობა წარმოადგენს. ამ და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით ჭიშკარზე აღინიშნება შემდეგი დაზიანებები:

- სვეტებზე ნაწილობრივ დაზიანებულია როგორც საღებავის ფენის მთლიანობა, ისე ბათქაშის ფენა
- იდენტური დაზიანება აღინიშნება ტალავერის ვერტიკალური მეტალის ძელების ნაშენ საყრდენ ნაწილებზე
- ტალავერის ვერტიკალურ მეტალის ძელებზე აცვენილია საღებავი და ჟანგია გაჩენილი
- ჭიშკრის რკინის ნაწილების ცალკეულ მონაკვეთებზე ასევე აცვენილია საღებავის ფენა. გარდა ამისა მასზე ჟანგის არსებობა შეინიშნება
- ჭიშკრის მიმდებარე ნაწილსა და არხს შორის არსებული ბეტონის ფენის ზედაპირი დაზიანებულია.

- დაზიანებულია ნიკო ნიკოლაძის დროინდელი სარწყავი არხის ზედაპირები
- მორყეულია კიდურა სვეტების თავზემთ განლაგებული ფარნები
- გზისპირა ფარნების ქვედა ნაწილზე აცვენილია საღებავი და უანგია გაჩენილი
- გზისპირა ფარნების ზედა ნაწილი დაკარგულია,

### 1.3 წინასწარი რეკომენდაციები

- სვეტებზე და ტალავერის ვერტიკალური მეტალის ძელების ნაშენ საყრდენ ნაწილებზე მოხდეს ბათქაშის დაზიანებული ფრაგმენტების შევსება და საღებავით დაფარვა
- ტალავერის ვერტიკალურ მეტალის ძელებზე, ჭიშკრის რკინის ნაწილების ცალკეულ მონაკვეთებზე და გზისპირა ფარნების ქვედა ნაწილებზე მოხდეს ჯანგის მოცილება და საღებავის ფენით დაფარვა
- მოხდეს ჭიშკრის მიმდებარე ნაწილსა და არხს შორის არსებული ბეტონის ფენისა და სარწყავი არხის ზედაპირების მოლესვა
- მოხდეს კიდურა სვეტების თავზემთ განლაგებული ფარნების რეაბილიტაცია და დაუბრუნდეს პირვანდელი ფუნქცია
- აღდგეს გზისპირა განათების ზედა ნაწილები და დაუბრუნდეს პირვანდელი ფუნქცია



## 2. ნიკო ნიკოლაძის საცხოვრებელი სახლი

### 2.1 შექმნის ისტორია და ისტორიული და მხატვრულ-დეკორატიული ღირებულება.

ნიკო ნიკოლაძემ თავისი სახლის მშენებლობა 1886 წელს დაიწყო. მან ხონში შეიძინა ოდა სახლი, რომელიც დაშლილ მდგომარეობაში დიდ ჯიხაიშში გადმოიტანა და ხელახლა ააწყო. პირველი სახლი ყავარით გადახურული ერთ სართულიანი შენობა ყოფილა. 1898 წელს ნიკო ნიკოლაძის პროექტით სახლი ორსართულიანად გადაკეთდა და მარსელის კრამიტით გადახურა. სახლს ზედა

სართულზე სამი ოთახი, ხოლო ქვედა სართულზე კი ორი აივანი დაემატა. 1908-10 წლებში შვედი არქიტექტორის ფრიკის პროექტით სახლს დასაველეთიდან ენეციურის სტილის ფანჯრიანი და საკუთარ შესასველელიანი ოთახი დაემატა, ხოლო სამხრეთიდან აგურითა და ცემენტით ნაგები, ვიწრო ზედა და ქვედა აივანი, რომელსაც ბეტონის მოაჯირი და იატაკი ჰქონდა. ამავე დროს სახლის ქვეშ ვრცელი, ამობეტონებული დეინის სარდაფი მოეწყო, რითაც სახლმა საბოლოო სახე შეიძინა

ნიკო ნიკოლაძის სახლი 1910 წლის სამშენებლო პერიოდის შემდეგ დღემდე გადაკეთებების გარეშეა შემონახული. კარგადაა შენარჩუნებული ნიკო ნიკოლაძის დროინდელი გეგმარების ინტერიერიც, რომელშიც მხოროდ მცირე ან კოსმეტიკური ხასათის რემონტია ჩატარებული: აივნებზე ნაწილობრივ შეკეთდა და გამოიცვალა სართულშორისი გადახურვა, ოთახების ინტერიერებში კი სამღებრო-განახლებით სამუშაოებია განხორციელებული. უცვლელია შენობის გადახურვა, რომელიც მიუხედავად რამდენიმე განახლებისა, ( მათ შორის უკანასკნელად 2003 წელს ჩატარდა ) თანადროული მარსელის კრამიტის გამოყენების გამო პირვენდელი სახითაა შენარჩუნებული. აღნიშნული გარემოებები, ნიკო ნიკოლაძის და მისი ოჯახის კუთვნილი ნივთების მდიდარ კოლექციასთან ერთად სახლს ძალზედ დიდ ისტორიულ-მემორიალურ მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც არა მარტო კონკრეტულად ნიკო ნიკოლაძის და მისი ოჯახის ცხოვრების მატერიალურ ასახვაში, არამედ იმ დროინდელი ქართული განათლებული საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვების ძალზედ კარგ შესაძლებლობაში გამოიხატება.

## 2.2 საფრთხეები და არსებული დაზიანებები

ადგილზე წარმოებული დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, რომ ძირითად საფრთხეს მარანში ძლიერი წვიმის დროს ნადენი წყლის დაგროვება წარმოადგენს. მარანიდან ამ წყლის ამოტუმბვის საშუალება არ არსებობს, ამდენად სათავსის წყლისგან დაცლა მხოლოდ ბუნებრივი გზით, აორთქლებით და ნიადაგში გაწოვით ხორციელდება. ეს ფაქტი მნიშვნელოვან საფრთხე უქმნის როგორც სახლის ფუნდამენტს, ისე შენობის კედლებსა და, შესაბამისად, ექსპოზიციასაც. მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ასევე გადახურვის დაზიანებული, დაზარალებული კრამიტები. ამ მონაკვეთებიდან შემოსული ტენი აზიანებს არა მარტო მეორე სართულის, არამედ პირველი სართული კედლებსაც, რაც ასევე სახლისა და ექსპოზიციის მდგომარეობას საფრთხის ქვეშ აყენებს. მაღალი ტენიანობა და ზოგადი კლიმატური პირობები ასევე საფრთხეს წარმოადგენს სახლის იმ ნაწილებისთვის, რომლებიც გარემოსთან უშუალო შეხებაშია: კრამიტი, ფასადების ზედაპირები, შუშაბანდი, კარ-ფანჯრები, აივნის იატაკი, ხის მოაჯირი და ტიხრები, კედლების მიწისპირა მონაკვეთები.

ჩამოთვლილ გარემოებათა ზემოქმედებით სახლზე შემდეგი დაზიანებები შეინიშნება:

- ნადგომი წყლისგან მარნის ბეტონის იატაკის ზედაპირია დაზიანებული
- ნესტისგან მარნის კედლების ზედაპირი დაზარებულია და აცვენილია
- ნესტისგან მარნის სარკმელებია დაზიანებული
- მარნის ჭერის საყრდენ რკინის ბოძებსა და ჭერის ძელებზე ნესტისგან საღებავია აცვენილი
- ფასადებზე ლოკალურად, რამდენიმე ადგილას საღებავია აცვენილი
- კლიმატური პირობების ზემოქმედებისა და ბუნებრივი დაძველების გამო აივნის ხის მოაჯირი და ფანჯრების ჩარჩოები და ფრთები რამდენიმე ადგილასაა დაზიანებული
- იატაკზე საღებავის ფენა როგორც აივანზე ისე ინტერიერში ლოკალურადაა აცვენილი.
- საღებავის ფენა სამხრეთი აივნისა და ჩრდილოეთი შუშაბანდის ჭერზე ლოკალურადაა დაზიანებული.
- სახლის ინტერიერებში რამდენიმე ადგილას ჩამოსულია წყალი
- დანესტიანებულია გარე კედლების მიწის მიმდებარე ლოკალური მონაკვეთები
- კრამიტი ლოკალურადაა დაზიანებული

### 2.3 წინასწარი რეკომენდაციები

- მოეწყოს ჯებირი, რომელიც არ დაუშვებს მარანში წვიმის წყლის პირდაპირ შეღწევას
- მარანში ბეტონით მოსწორდეს იატაკის ზედაპირი, ბეტონით და საღებავით განახლდეს კედლები, ჩარჩოები გარემონტდეს ან გამოიცვალოს, შეიღებოს კონსტრუქციული ელემენტები
- ფასადებიდან საღებავის ძველი ფენა მოიხსნას და ხელახლა შეიღებოს
- დაზიანებულ ხის ელემენტებს ჩაუტარდეს რეაბილიტაცია – ხის მოაჯირებს, ტიხრებს, ფანჯრის ჩარჩოებსა და ფრთებს
- მოიხსნას იატაკის საღებავის ფენა, გასუფთავდეს და ხელახლა დაიფაროს ახალი საღებავით
- სამხრეთი აივნისა და ჩრდილოეთი შუშაბანდის ჭერზე დაზიანებული საღებავის ფენა მოიხსნას, გასუფთავდეს და ხელახლა დაიფაროს საღებავით
- ინტერიერში ჭერიდან ჩამოსული წყლის ლაქები გასუფთავდეს და დაიფაროს თეთრი საღებავით
- გარე კედლების დანესტიანებულ მონაკვეთებს ჩაუტარდეს გამოკვლევა, მიზეზი დადგინდეს და გადაწყვეტის გზები დაიგეგმოს

- კრამიტი მოიხსნას, ხავსისგან გასუფთავდეს, დაზიანებულები გამოიცვალოს და ხელახლა დაიგოს
- მოწესრიგდეს წყლისგადამყვანი სისტემა



### 3. სამეურნეო ნაგებობა

#### 3.1 შექმნის ისტორია და სტორული და მხატვრულ-დეკორატიული ღირებულება.

სამეურნეო შენობის შექმნის ზუსტი თარიღის დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა, თუმცა საარქივო ფოტოზე ჩანს, რომ 1898 წლის განახლებულ საცხოვრებელ სახლს ჩრდილოეთიდან აკრავს ბაღი, რომელის ნაწილიც, როგორც ჩანს, სამეურნეო შენობის ადგილასაა განთავსებული. შესაბამისად სამეურნეო ნაწილის აშენების თარიღად 1893-1910 წლები შეიძლება ჩაითვალოს.

სამეურნეო შენობა, ინტერიერისა და გადახურვის ჩათვლით, მთლიანობაში თავდაპირველი სახითაა შენარჩუნებული. ოთახების ინტერიერების

მხატვრული გადაწყვეტის ნაწილობრივი სახეცვლა მოხდა: კედლების ზედაპირები ხის ბურბუშელის დეკორატიული ფილებითა დაფარული, ჭერი თხელი ფანერის ფილებითაა დაფარული, ასევე ჩატარებულია სამღებრო სამუშაოები. სამეურნეო ნაგებობის ინტერიაერის თავდაპირველი დაგეგმარების და მნიშვნელოვანი ელემენტების, კრამიტის გადახურვის, ორი ბუხრისა და ბეტონის იატაკის შენარჩუნება, ამ ნაგებობას მნიშვნელოვან როლს ანიჭებს როგორც სახლ-მუზეუმის ანსამბლის განუყოფელ ნაწილსა და ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის ცხოვრების ამსახველ მნიშვნელოვან მემკვიდრეობას. გარდა ამისა, სამომავლოდ, ეს ნაგებობა ამ პერიოდის ქართული საზოგადოები წარჩინებული ფენის სამოსახლო მამულების საკითხის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროდ ისახება.

### 3.2 საფრთხეები და არსებული დაზიანებები

სამეურნეო ნაგებობისათვის ძირითად საფრთხეს წვიმა წარმოადგენს, რადგან სახურავის კრამიტი ხავსის ინტენსიური ფენითაა დაფარული და მრავალრიცხოვან ბზარებს შეიცავს. გარდა ამისა კედლების ქვედა ნაწილები ნესტის ძლიერ ზემოქმედებას განიცდიან. კლიმატური პირობების გამო შენობაზე გარკვეული დაზიანებები აღინიშნება:

- კრამიტი დაფარულია ხავსით და დაბზარულია
- სახურავის ხის შვერილი ნაწილები გამომჟაღია
- კარ-ფანჯრები დაბზარულია და აცვენილია საღებავი
- შენობის ტერასის კედლებზე და აცვენილია საღებავი
- შაფასადო კედლების ზედაპირზე ამძვრალია ბათქაში
- ინტერიერში და ტერასაზე დაზიანებულია ბეტონის იატაკი

### 3.3 წინასწარი რეკომენდაციები

- მოიხსნას და გაიწმინდოს კრამიტი. შეიცვალოს დაზიანებული ცალები
- გამოიცვალოს გადახურვის გამომჟაღი ფიცრები
- რეაბილიტაცია ჩაუტარდეს შენობის კარ-ფანჯრებს
- საფასადო და ტერასის კედლები გასუფთავდეს საღებავის ძველი ფენიდან და ხელახლა შეიღებოს
- რეაბილიტაცია ჩაუტარდეს ინტერიერში და ტერასაზე დაზიანებული ბეტონის იატაკს
- მოიხსნას კედლებისა და ჭერის დამფარავი ფილები
- რეაბილიტაცია ჩაუტარდეს ხის კარ-ფანჯრებს



3

#### 4. თავლა

##### 4.1 შექმნის ისტორია და სტორული და მხატვრულ-დეკორატიული ღირებულება.

თავლის შენობის აგების ზუსტი თარიღი უცნობია. შავარაუდოდ ის 1898 წლის სახლის გადაკეთებას, ან უფრო ადრეულ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. შენობის ეხტერიერი უცვლელია, შენარჩუნებულია გადახურვა, რომელიც დანარჩენი შენობების მსგავსად მარსელის კრამიტითაა გადახურული.. ინტერიერში მხოლოდ დასაველეთმა ნაწილმა შეინარჩუნა თავდაპირველი თავლის სახე, ხოლო დანარჩენ ნაწილებში საწყობი ოთახები და საკონფერენციო დარბაზია ოწყობილი. თავლის შენობა ნიკო ნიკოლაზის სახლ-მუზეუმის კომპლექსის რქიტექტურული ანსამბლის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამ თვალსაზრისით დიდ საისტორიო მნიშვნელობას ატარებს.

##### 4.2 საფრთხეები და არსებული დაზიანებები

თავლის შენობისთვის ძირითად საფრთხეს, ზოგადი კლიმატური პირობების გარდა, წარმოადგენს მის უკანა, ცრდილოეთ მხარეს წვიმის წყლის შემკრებ-გადამყვანი სისტემის დაზიანება, რის გამოც წყალი შენობის ფუნდამენტს აზიანებს. ამ გარემოებათა და ბუნებრიბრივი დაძველების მიზეზით შენობაზე შემდეგი სახის დაზიანებები აღინიშნება:

- შენობის ტერასის ზედაპირი დაზიანებულია
- შენობის ტერასის სვეტებზე და გადახურვაზე საღებავის ფენა დაზიანებულია

- აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე დაზიანებულია ბათქაშის ფენა და გაშიშვლებულია ბაღდადური კედელი.
- დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს სახურავის შვერილი ნაწილის ხის ფიცრები გამოშპალია
- შენობის პერიმეტრზე, ლოკალურად დაზიანებულია და მიწითა და მცენარეებითაა დაფარული კედლები მიწის მიმდებარე ზოლი
- სახურავის ჩრდილოეთ მხარეს დაზიანებული კრამიტი შეცვლილია ასბესტის ტალღოვანი ფილით
- შენობის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფრონტონებზე ფიცრების ნაწილი გამოშპალია და საღებავის ფენა დაზიანებულია.
- ინტერიერის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი თავლის კედლების ზედაპირზე დაზიანებულია ბათქაში და აცვენილია საღებავი
- თავლის ჭერის მზიდი სვეტები შეცვლილია ახალი უსახური სვეტებით
- თავლის სარკმელები დაზიანებულია

#### 4.3 წინასწარი რეკომენდაციები

- ტერასის ზედაპირი ბეტონით შეკეთდეს
- შენობის ტერასის სვეტებზე და გადახურვაზე საღებავის ფენა მოიხსნას, გასუფთავდეს და ხელახლა შეიღებოს
- აღმოსავლეთ ფასადზე ბათქაშის ფენა მოიხსნას, ხელახლა შეიღესოს და შეიღებოს. დასავლეთ ფასადზე მოიხსნას ბათქაშის დაზიანებული ნაწილები და ხელახლა შეიღესოს და შეიღებოს.
- დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს სახურავის შვერილი ნაწილის ხის გამოშპალია ფიცრები შეიცვალოს
- შენობის პერიმეტრზე კედლები მიწის მიმდებარე ზოლი გაიწმინდოს მიწისა და მცენარეებისგან, შეკეთდეს დაზიანებული ფრაგმენტები
- სახურავის ჩრდილოეთ მხარეს ასბესტის ტალღოვანი ფილა შეიცვალოს კრამიტით
- სამხრეთ ფასადზე ხის ბურბუშელას პანელები მოიხსნას
- მოწესრიგდეს წყლის გადაყვანი სისტემა
- თავლის შენობის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი თავლის კედლების დაზიანებული ბათქაში მოიხსნას, ხელახლა შეიღესოს და შეიღებოს.
- თავლის ჭერის მზიდი ახალი სვეტები ტერასის სვეტების ანალოგიური სვეტებით შეიცვალოს
- ღეაბილიტაცია ჩაუტარდეს სარკმელებს
- მოწესრიგდეს ელექტრო გაყვანილობა



- თავლის შენობის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ საკონფერენციო დარბაზში მოეწეოს მუზეუმის ისტორიის ექსპოზიცია და შეითავსოს ბიბლიოთეკის ფუნქცია.
- თავლის შენობის შუა ნაწილში არსებული საცავეების სამი ოთახი გაერთიანდეს და თანამედროვე საკონფერენციო დარბაზად გადაკეთდეს



## 5. ბაღი

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის კომპლექსს მისი მამულის მხოლოდ მცირე ნაწილი უკავია. ის მოიცავს ალესას და უშუალოდ სახლის ირგვლივ მოწყობილ ბარს. სადღეისოდ თავდაპირველი ბაღისგან და მისი ინფრასტრუქტურისგან მხოლოდ ხის ნარგაობა და ცალკეული ფრაგმენტებია გადარჩენილი. ასეთებს მიეკუთვნება ქარის ძრავიანი ჭა, მეორე ჭა და მის ირგვლივ ორგანიზებული არქიტექტურული კვანძი, ნაღია. გამჭრალია ან მცირე ნარჩენების სახითაა შემორჩენილი შენობებისა და ამ კვანძების დამაკავშირებელი ბილიკების ქსელი. უკვალოდაა გამჭრალი ბაღის დეკორატიული სქემა, რომელიც ნაწილობრივ ერთ-ერთ ფოტოსურათზე ჩანს. არ შემორჩა ნიკო ნიკოლაძის დროინდელი გარე განათებისა და სკამების ნიმუშები

## 5.1 წინასწარი რეკომენდაციები

- რეაბილიტაცია ჩაუტარდეს თავდაპირველი ბაღისა და მისი ინფრასტრუქტურის გადარჩენილი ფრაგმენტებს, ქარის ძრავიანი ჭას, მეორე ჭასა და მისი არქიტექტურული კვანძს, ნაღიას.
- საარქივო მასალების, ფოტო მასალისა და ადგილზე ჩატარებული მოკვლევით შექლებისდაგვარად გამოირკვეს ბაღის დეკორატიული სქემა და კომუნიკაციების სახე და მდებარეობა
- ფოტო მასალისა და საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე გაირკვეს განათებისა და სკამების სახე. არ არსებობის შემთხვევაში ასეთები შეირჩეს იმ სტილში, რომელიც არ მოვა წინააღმდეგობაში სახლ-მუზეუმის ანსამბლთან
- დაიშალოს მანქანის ავტოფარეხი
- რეაბილიტაცია ჩაუტარდეს ესოს საპირფარეშოს





## არქიტექტორ-რესტავრატორის რეკომენდაცია

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის კომპლექსი მდებარეობს მდინარე რიონის ხეობაში, ქუთაისიდან 20 კილომეტრში, (სამტრედიის მუნიციპალიტეტი, დიდი ჯიხაიში). კომპლექსის ძირითადი ნაწილი, საცხოვრებელი სახლი, 1886 წელს აშენდა და მოგვიანებით ორჯერ გადაკეთდა, შენობას საბოლოო სახე 1910-იან წლებში, შვედი არქიტექტორის ფრიკის პროექტის მიხედვით მიეცა.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი 1947 წელს დაარსდა, ხოლო ფუნქციონირება 1951 წელს დაიწყო. სახლ-მუზეუმს 66 წლის განმავლობაში 5-ჯერ ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, ხოლო საბოლოო 2003 წელს.

სახლ-მუზეუმის კომპლექსი ჭიშკრის, საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობისა და თავლისაგან შედგება.

საცხოვრებელი სახლი ორ სართულიანია, მას ჩრდილოეთით შუშაბანდი და რკინის მცირე აივანი, ხოლო სამხრეთით ორი აივანი აკრავს. სახლ-მუზეუმის მთავარი შესასვლელი დასაყვლეთ ფასადზეა განთავსებული. შენობის პირველი სართული 90 სმ-ით არის მიწის დონეს მოშორებული, ხოლო მის ქვეშ ვრცელი მარანია მოწყობილი.

სამეურნეო ნაგებობა ერთ სართულიანია და მასში ამჟამად საყარაულო, საექსპოზიციო დარბაზი, სამზარეულო, საკუჭნაო და ორი მცირე ზომის ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ოთახია განთავსებული. შენობის სამხრეთ ფასადზე მოწყობილია გადახურული ტერასა, რომელიც ასევე ნაგებობის სხვადასხვა ოთახების დამაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს.

ყოფილი თავლა ერთ სართულიანი ნაგებობაა, რომლის სხეულშიც განთავსებულია სათივე. პირველი სართულის სივრცე ხუთ ნაწილადაა დაყოფილი. თავლის შიდა სივრცის ავტენტური სახე მხოლოდ მის დასაყვლეთ ნაწილშია შემორჩენილი, რომელიც დღეს საექსპოზიციოდ გამოიყენება. შენობის შუა ნაწილი სამ მცირე ზომის ოთახად არის დაყოფილი, რომლებიც მუზეუმის არასაექსპოზიციო ნივთების საცაყის ფუნქციას ასრულებს. თავლის აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებულია საკონფერენციო დარბაზი, რომელიც დაახლოებით 60 - 70 ადამიანს იტევს.

სახლ-მუზეუმის ეზოს ჩრდილო-დასავლეთ კიდეში დგას წყლის საქაჩი ქარის ძრავა, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ 1910-იან წლებში ააგო. ქარის ძრავის

საშუალებით ხდებოდა ზღბოდა ჭიდან წყლის ამოტუმბვა და შენობების მომარაგება. ამოტუმბულ წყალს, ასევე იყენებდნენ სამეურნეო მიწების მოსარწყავად.

ძირითადი შენობების გარდა, ეზოს ტერიტორიაზე ამჟამად სამი მცირე ზომის ნაგებობა დგას:

1. რკინის კონსტრუქციით შეკრული, ყოფილი ავტოსადგომი, რომელიც დღესდღეობით საწყობის ფუნქციას ასრულებს.
2. ეზოს ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზე განთავსებული, ხის ფიცრულისგან შეკრული საპირფარეშო.
3. ნალია, რომელიც დღესდღეობით ათვისებული ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე დგას.

**არსებული მდგომარეობა და დაზიანების გამომწვევი მიზეზები:**

საცხოვრებელი სახლის სარდაფი ამოყვანილია რიყის ქვით, ნაწილობრივ კი აგურით ცემენტის დუღაბზე. სარდაფის იატაკი ევროპული მეთოდით დამზადებული ცემენტის დუღაბით არის გაკეთებული. მარნის იატაკი და კედლები დაზიანებულია და აღინიშნება წყლით დატბორვის ნიშნები. დატბორვის ზუსტი მიზეზის დასადგენად, საჭიროა ჩაუტარდეს ჰიდრო-გეოლოგიური კვლევა, რათა გაეარკიოთ საიდან ხდება წყალი სარდაფში. სარდაფის კარ-ფანჯრები ნესტის გამო მნიშვნელოვნად არის დაზიანებული,

სართულშუა გადახურვა ხის ძელებით არის გაწყობილი, რომელიც თბო-იზოლაციის მიზნით მიწით არის შევსებული. საცხოვრებელი სახლი ნაგებია ხის სვეტებზე გაწყობილი კოჭოვანი კონსტრუქციით. კედლები და ტიხრები ძირითადად ნაგებია ე.წ. ბაღდაღური კედლით, რომლის ნაღესობაც დაზიანებულია ნალექის ზემოქმედების გამო, ხოლო დანარჩენი ნაწილი შეფიცრული და შეღებილია. დაზიანება აღენიშნება შეფიცრული კედლების საღებავის, ასევე დაზიანებულია საცხოვრებელი სახლის კარ-ფანჯრები.

სახლის მთავარი ფასადი და აივანი ნაგებია შერეული, აგურის და რიყის ქვის წყობით ცემენტის დუღაბზე. ამავე ფასადის ტერასის ხის აუურული მოაჯირი და სვეტები დაზიანებულია ჰიდროლოგიური ზემოქმედების გამო.

შენობის სახურავი ხის ნივნივებზეა მოწყობილი და გადახურულია მარსელის კრამიტით, სამხრეთ-დასავლეთის მცირე ნაწილზე კი ჩამატებულია თუნუქის

რამოდენიმე ფირფიტა. შენობის გადახურვის კონსტრუქციებზე დაყრდნობილი გამოწვეული ნაწილების შეფიცვრა დაზიანებულია ტენის შემოქმედებით.

სამეურნეო ნაგებობის სახურავის საფარი დაფარულია მცენარეებით რისგამოც ზიანდება კრამიტი. სახურავის გამომჟალი შევრილი ნაწილები დაზიანებულია ატმოსფერული ნალექის შემოქმედებით, ასევე დაზიანებულია ტერასის იატაკის გვიანდელი ფენა. შენობის აღმოსავლეთ ფასადზე დამონტაჟებული ონკანის გამო კედლის ბათქაში მეტწილად ჩამოცვენილია. ბათქაშის დაზიანებები შესამჩნევია ასევე სხვა დანარჩენ კედლებზეც.

სამეურნეო ნაგებობის ტერასის ჭერი გვიანდელია, რომელიც თხელი ფანერით არის გაწყობილი და აღენიშნება დაზიანებები. სამეურნეო ნაგებობის ინტერიერის კედლები გაწყობილია ხის ბურბუშელის ფილებით, რომლებიც გვიანდელი მიმაგრებულია. სამეურნეო ნაგებობის ინტერიერში გვხვდება პირვანდელი ბუხარი და საცხობი ფენი. ბუხარს აღენიშნება ვიზუალურ ესტეტური დაზიანება, გვიანდელი პერიოდის არასათანადო საღებავის ფერის გამოყენების გამო. ასევე დაზიანებულია სახურავის წყლის გადაწყვანები.

თავლის ნაგებობის სახურავის კრამიტი ზოგიერთ ადგილზე დაძრულია. სახურავის ჩრდილოეთ ქანობი აზბესტის ტალღოვანი ფილებითაა გაწყობილი. სახურავის ხის ნაწილები გამომჟალია კრამიტიდან გამოყოფილი წვიმის წყლის გამო. სამხრეთ ფასადზე გვიანდელი ლამინირებული ხის ბურბუშელის ფილებია მიმაგრებული, რომელითაც დაფარულია ძველი კედლის ნაწილები. შენობის ფასადის დანარჩენი კედლის ნაწილების ბათქაში დაზიანებულია ატმოსფერული ნალექის შემოქმედებით. ასევე დაზიანება აღენიშნება თავლის ტერასის ზედაპირს.

#### *საპროექტო სამუშაოების მეთოდოლოგია და რეკომენდაცია:*

ძეგლზე გაკეთდეს დეტალური არქეოლოგიურ-არქიტექტურული ანაზომი და ციფრული ფოტოფიქსაცია. მოხდეს ძეგლის შესახებ საარქივო მასალის მოძიება (ტექსტუალური, ნახაზი, ფოტო და ა.შ.)

ძეგლის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტირების პროცესში მოხდეს ერთობლივად (კონსტრუქტორის და არქიტექტორის მონაცემებზე დაყრდნობით) შეთანხმება საინჟინრო-კონსტრუქციულ და მხატვრულ-არქიტექტურულ გადაწყვეტაზე.

*ძველზე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და აქტივობების ჩამონათვალი:*

ძველის წინასწარ შესწავლის შემდგომ ზემოთ ჩამოთვლილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად და მუზეუმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის კომპლექსში შემავალი ნაგებობებზე ჩასატარებელია შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოები:

1. ჭიშკარი – კვადრატული ბეტონის სვეტების ზედაპირი დამუშავდეს, შეივსოს და შეიღებოს; ლითონის ჭიშკარი გაიწმინდოს ჟანგისა და საღებავისგან, რის შემდეგაც შეიღებოს ანტიკოროზიული საღებავით;
2. საცხოვრებელ სახლი (სახლ-მუზეუმი) – სახურავის დაზიანებული კრამიტი გადაეწყოს. გადახურვის მცირე მონაკეთზე გამოყენებული გვიანდელი თუნიქი შეიცვალოს მარხელის კრამიტით; გადახურვის, კრონშტეინებზე დაყრდნობილი, გამოწეული ხის ნაწილები შეიცვალოს ახლით; სახურავის არა აუთენტური წყლის გადამყვანები აუცილებელია შეიცვალოს არსებული წყლის შემკრებების შესაბამისი ფორმისა და მასალის გამოყენებით; შენობის მთავარი ფასადის (დასავლეთის ფასადის) პირველი სართულის ვერანდის აუურული მოაჯირი აღდგეს პირვანდელი სახით; შენობის ხის კარ-ფანჯრები ასევე როგორც შეფიცრული კედლის ნაწილები უნდა გაიწმინდოს, დამუშავდეს და შეიღებოს ახალი, მაღალი ხარისხის საფასადე საღებავით, თავდაპირველი ფერის გათვალისწინებით, ხოლო მეტად დაზიანებული ნაწილი შეიცვალოს ახლით; ბაღდადური კედლების დაზიანებული ნაწილები შეივსოს ტრადიციული მასალის გამოყენებით; უნდა მოეწყოს სართულშუა გადახურვის, გვიანდელი ჩარევის შედეგად, მოხსნილი მიწის თბოსაიზოლაციო ფენა; სარდაფის ბეტონის იატაკის ზედაპირის დაზიანებულ ნაწილს ესაჭიროება გაწმენდა, დამუშავება და იგივე მასალით აღდგენა.
3. სამეურნეო ნაგებობა – სახურავი გაიწმინდოს მცენარეული საფარისაგან და მოხდეს დაძრული კრამიტების გადაწყობა; სახურავის გამომჟალი შვერილი ნაწილები შეიცვალოს ახლით; შენობის ხის კარ-ფანჯრები გაიწმინდოს, დამუშავდეს და შეიღებოს ახალი, მაღალი ხარისხის საფასადე საღებავით; მოსახსნელია ინტერიარსა და ჭერზე დამონტაჟებული გვიანდელი ხის

ბურბუშელის ფილები და თხელკედლიანი ფანერა; ფილების მოხსნის შედეგად გამოჩენილი კედლის დაზიანებები შეივსოს თავდაპირველი მასალის გამოყენებით; შენობის ტერასის დაზიანებული ნაწილები გაიწმინდოს, დამუშავდეს და შეივსოს იგივე მასალით; კედლების დაზიანებები გაიწმინდოს და შებათქაშდეს ტრადიციული მეთოდით; აუცილებელია შენობის აღმოსავლეთ ფასადზე დამონტაჟებული ონკანის მოხსნა; სახურავის არააუთენტური წყლის გადამყვანები აუცილებელია შეიცვალოს არსებული წყლის შემკვების შესაბამისი მასალის და ფორმის გამოყენებით;

4. თავლა - გადახურვის დაძრული კრამიტები გადაეწყოს და სახურავის ჩრდილოეთ ქანობზე არსებული აზბესტის ტალღოვანი ფილები შეიცვალოს მარსელის კრამიტით; სახურავის ხის გამომპალი ნაწილები შეიცვალოს ახლით; მოსაწყობია ასევე წვიმის წყლის გადამყვანი სისტემა; მოსახსნელია ფასადზე და ჭერზე დამონტაჟებული გვიანდელი ხის ბურბუშელის ფილები; ფილების მოხსნის შედეგად გამოჩენილი კედლის და სხვა დანარჩენი კედლების დაზიანებები შეივსოს თავდაპირველი მასალის გამოყენებით; შენობის ტერასის დაზიანებული ნაწილები გაიწმინდოს, დამუშავდეს და შეივსოს იგივე მასალით; ფრონტონების ხის ნაწილები საჭიროებს რესტავრაციას; შენობის ხის კარ-ფანჯრები გაიწმინდოს, დამუშავდეს და შეიღებოს ახალი, მაღალი ხარისხის საფასადე საღებავით; თავლის თავდაპირველი სახით შემორჩენილი ნაწილს ჩაუტარდეს სრული რესტავრაცია; მოხდეს შენობის ცენტრალურ ნაწილში არსებული სამი საცავის გაერთიანება, რის შედეგადაც გაერთიანებული სივრცე შეიძენს საკონფერენციო დარბაზის ფუნქციას, ხოლო ყოფილი სააქტო დარბაზი მისი დღევანდელი სახით შენარჩუნებით გადაკეთდეს საექსპეზიციოდ, როგორც მუზეუმის განვითარების ერთ ერთი საფეხურის ამსახველი სივრცე.

5. ეზოს კეთილმოწყობა - ეზოში გამოიკვლება და ახლით ჩანაცვლდება არსებული საკამები, ნაგვის ურნები და განათების სვეტები. ასევე



